# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

## დადგენილება № 01-06-02/07

ქ. თბილისი

22 თებერვალი 2019

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ზოგიერთი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებაში შეტანილი ცვლილებების დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 ნოემბრის №01-05-04/325 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2019 წლის 22 თებერვლის №01-06-02/02 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. დამტკიცდეს სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ ჩამოთვლილი დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების დებულებები შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით:
   1.1. ვლ. ჭავჭანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის დებულება;
   1.2. ინსტიტუტ „ტალღას“ დებულება;
   1.3. საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დებულება;
   1.4. ინსტიტუტ ,, ტექინფორმის“ დებულება;
   1.5. კვანტური ფიზიკის ინსტიტუტის დებულება.
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6.

**სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)**
**სპიკერი, პროფესორი** **ჯემალ გახოკიძე**